

2014 წლის 15 ივლისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კ.ნ. №06-14 (CMR 140125619) ხელშეკრულებაზე

24.10. 2014წ.

თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის პირველი მოადგილის ნუგზარ გასვიანის სახით, შემდგომში შემსყიდველი, ერთი მხრივ და შპს საპროექტო – საკვლევადიებო ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ტალი ტალიაშვილის სახით, შემდგომში მიმწოდებელი, მეორე მხრივ, შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის – საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს 2014 წლის 23 ოქტომბრის №6763-2 მოხსენებითი ბარათის და ხელშეკრულების მე-13 მუხლის 13.6 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სტეფანწმინდა – სამების ეკლესია საავტომობილო გზის კმ.1-კმ.6 მონაკვეთის რეკონსტრუქცია – მშენებლობის სამუშაოების დეტალური საპროექტო – სახარჯთაღრიხვო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების გაწევის შესახებ მხარეთა შორის 2014 წლის 15 ივლისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კ.ნ. №06-14 ხელშეკრულებაში და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ვადა 2014 წლის 13 ოქტომბრის ნაცვლად გაგრძელდეს 2015 წლის 30 იანვრის ჩათვლით.
2. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2015 წლის 01 მარტის ჩათვლით.
3. ზემოხსენებული ცვლილებები იგულისხმება ხელშეკრულების ყველა იმ ნაწილში, სადაც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კ.ნ. N06-14 ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები.
4. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.
5. წინამდებარე დანართი წარმოადგენს პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად და ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.
6. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

შემსყიდველი  
დეპარტამენტის  
თავმჯდომარის პირველი მოადგილე  
ნუგზარ გასვიანი



მიმწოდებელი  
შპს საპროექტო – საკვლევადიებო  
ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“  
დირექტორი  
ტალი ტალიაშვილი



Handwritten signatures in blue ink at the bottom of the document, corresponding to the parties mentioned in the text.